# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 18-67

"17" ივლისი 2015 წ.

ქ. თბილისი

**„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის №4-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „უ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 64-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**1.** შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის №4-14 დადგენილებაში (ვებგვერდი, 09/03/2015, სარეგისტრაციო კოდი 280010000.35.101.016127) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება დაფინანსდეს სოციალური დახმარების სახით ან არამატერიალიზებული ვაუჩერის საშუალებით."

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

# განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის №4-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 5 თებერვალს მიღებული საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, მუნიციპალიტეტში ნორმატიულ აქტის მიღების უფლება აქვს მუნიციპალიტეტის საკრებულოს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს გამოსცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - დადგენილების ფორმით.

პროექტი მიზნად ისახავს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის“ (კოდი: 6.2.28) ქვეპროგრამის განხორციელების წესში ცვლილების შეტანას, კერძოდ, მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქვეპროგრამით მოსარგებლის დაფინანსების წესში „ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება განხორციელდება სოციალური დახმარების სახით ან მიმწოდებელთან გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე“ - ნაცვლად მიეთითა „ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება განხორციელდება სოციალური დახმარების სახით ან არამატერიალური ვაუჩერის საშუალებით“.

აღნიშნული ცვლილებები დაეხმარება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა“ კიდევ უფრო სრულყოფილად.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გაღებას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან.

გ) დადგენილების პროექტის ავტორი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი მერია

დ) დადგენილების პროექტის წარმდგენი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი